ცნობის ფურცელი

№ 2579 სამშაბათი, 10 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2579

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ბით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში
...ნის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გა-
მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდროოდ გარდაცვალებულის ექიმის

სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, დილით.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ ძმები განსვენებულისა მღვდელი **კონსტანტინე, მიხეილი და ლუკა** და ძმის-წული **გიორგი კონსტანტინეს ძე თოფურიები.** (2—6·—1)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

რჩევა ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შ რ ო მ ა“-სი ამით უცხადებს ...ტუცემულ საზოგადოებას: ზოგადოების მიერ აღძრულია სადაც ჯერ არს შუამდგომ...ობა, რომ მან გახსნას ენკენისთვიდან ამა 1904 წლისა ქალაქ ქუთაისში **ქალთა სა...ეურნეო სკოლა მეოჯახეობისა,** შემდეგის უფლებებით:

1) დაარსდეს ხუთის წლის სამოსწავლო კურსი;
2) სკოლაში მიიღებიან ქალიშვილები დაბადებიდან არა ნაკლებ თერთმეტის წლისა, აგრეთვე ქალებიც;
3) სკოლაში შეისწავლიან პრაქტიკულად და თეორეტიულად შემდეგ დარგს მეურნეობისას: ა) მე...რეშუმეობას, ბ) აბრეშუმის თესლის გარჩევას, გ) საქსლეებზე ფართლეულობის ქსოვას, დ) მზარეულობას, ...ჭრა-კერვას, ვ) ჩულქის ქსოვას და ხელსაქმობას მაშინაზე, ზ) რძის ხელობას, თ) მებოსტნეობას, ი) მე...ტკრეობას და კ) ფრინველთ მოშენებას.
4) სწავლის კურსი პირველად იქნება ორ კლასიანი, ნორმალურის სკოლის პროგრამით; შემდეგში-კი ...ედად გაფართოვდება.
5) ყოველ წლიური გადასახადი დადგენილია:
ა) სწავლის უფლებისა—20 მან.
ბ) პანსიონერებზე: 1) თავის ტანისამოსით—100 მან და 2) სკოლის ტანისამოსით 130 მან., რო...ლიც უნდა გადახდილ იქნას: სწავლის ფულის ნახევარი სკოლაში შესვლისათანავე და მეორე ნა...ევარი იანვრის თვეში სამოსწავლო წლისა, პანსიონერების-კი სამ წილად: ერთი წილი სკოლაში შესვლისა...ანავე, მეორე ქრისტეშობის თვეში და მესამე მარტში სამოსწავლო წლისა.

თხოვნები უნდა იქნეს მიმართულნი რჩევის სახელზე და მართმეულნი თავმჯდომარის ...მხანაგის **ნ. პ. ქიქოძისადმი,** მის საკუთარ სახლში ქალაქ ქუთაისს, ჯაიანის შესახვევში, ...ევაშოვის ქუჩისა, ოკ მომავალ მარიამობისთვემდი და შემდეგ კი სკოლის კანცელარიაში.

შენიშვნა: სკოლასთან იქნება გახსნილი ცალკე სპეციალური განყოფილება მეოჯახეობის რომელისამე ...არგის შესასწავლებლად, რომლის სწავლის ფასში უნდა შეურიგდნენ სკოლის უფროსს.

თავმჯდომარე რჩევისა კნ. მ. გ. წერეთელ-ზაშვილისა.
თავმჯდომარის ამხანაგი ნ. პ. ქიქოძისა.
წევრები რჩევისა
1) კნ. ა. ა. დადეშქელიანი.
2) კნ. ა. ი. ნიჟარაძე.
3) ა. გ. კემულარია.
ხაზინადარი რჩევისა ა. ბ. ლორთქიფანიძე.
მდივანი რჩევისა მ. დ. გარდასანიძე. (ნ. 10—2)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები
(წელიწადი მეხუთე)

...წავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურ...სებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიის ...არტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულება...თა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ ...გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. **გიგინეიშვილი**
მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—13)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
...ურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
...ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
...დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა ...წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
...ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ...იულ. და კანისა 11—12 საათამდე.
ვ. ტ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. ...0—11 საათ.
ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს...
...არ. ვ. **ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტო...ედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. ...—8 საათამდე.
ვ. ა. **ზიიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ...აათ. ყოველ დღე.
...ძ. **ქალი მ. ძ. იოხელიანი.**—ქალისა და სა...ბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
...დ. მ. **მოცინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (...მკურნალობა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ...ით 11—12 საათამდე.
ნ. **ტუშმალაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ბ. ვ. **ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია. ...შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული ...ა ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერ...აციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდა...ნ ...თამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ...იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ...მ...ლის ქუჩიდან-კი 34 Б. (...)
ტელეფონი № 274.

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
...ღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
...ვორონცოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

პ ა ნ ს ი ო ნ ი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—13)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აგვისტო

ჩიფუ, 9 აგვისტო (საგ. საკუთ. კორ). ჩინურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, იაპონელებმა განაგრძეს პორტ-არტურზე იერიში 6 აგვისტოს საღამოთი და 7 აგვისტოს დილით, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ იქნენ. ეს ზარალი აღემატება 4 და 5 აგვისტოს ზარალს. ამბობენ, ამ იერიშში მონაწილეობა მიიღეს გვარდიის ჯარის ნაწილებმაცაო. ბრძოლის დროს იაპონიის გემები ყუმბარებს უშენდნენ პორტ-არტურს, მაგრამ უნაყოფოდ; როგორც ციხის სიმაგრეების, ისე ქალაქისთვის ზარალი არ მიუყენებიათ. ამ ბოლო დროს ეტყობა, რომ იაპონელებმა ლიაოიანის ნაცვლად უმთავრესი ყურადღება პორტ-არტურს მიაქციეს.

შანჰაი, 7 აგვისტო („რეიტ. სააგ“). ჩინელმა ტაოტაიმ (გუბერნატორმა) აცნობა რუსის კონსულს, თუ დაუყოვნებლივ არ აასრულებთ ჩვენს წინადადებას იმის შესახებ, რომ რუსის გემები ნავთ-სადგურიდან წავიდნენ ან იარაღი აიყარონ, ჩინეთი თვითონ აჰყრის იარაღს ამ გემებს და რუსის მეზღვაურთ დაიჭერს ომის გათავებამდე, როგორც ტყვეებსაო. ჩინელებმა არ შეიწყნარეს რუსების თხოვნა „ასკოლდის“ შეკეთების შესახებ. ტაოტაი ამბობს, რომ „ასკოლდი“ მოვიდა ორის დაუზიანებელის მანქანითა და ორის ქვაბით და იმავე პირობით უნდა წავიდეს ნავთ-სადგურიდანაო. ტაოტაი ასე იმიტომ იქცევა, რომ იაპონიის მთავრობას განუცხადებია ჩინეთის მთავრობისთვის, თუ რუსეთს მხარს დაუჭერთ, დიდ პასუხის მგებლობას იკისრებთო. ჩინეთი უარს ამბობს ყოველსავე პასუხის მგებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია. იაპონიის კონსულმა განაცხადა, „ასკოლდ“-სა და „გროზოვოი“-ს შეუძლიათ ნავთ-სადგურიდან წასვლაო. რუსებს უნდათ დრო მოიგონ გემების შესაკეთებლად. იაპონიის კონტრ-ნაღმიანი გემი ვუსუნგში მივიდა. დღეს ამერიკის კონსულმა სთხოვა სხვა კონსულებს, 9 აგვისტოს დილით შეიკრიბნენ იმ საქმის გადასაწყვეტად, თუ რა დახმარება უნდა გაუწიონ ტაოტაის რუსის გემების საქმეში.

ჩიფუ. („რეიტ. საag.“). სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ გუშინდელი იერიში პორტ-არტურზე უნაყოფო იყო და იაპონელებმა იერიში განაგრძეს განვლილ ღამეს და დღეს. ამ გარემოებას არავითარი გავლენა არა აქვს იაპონელთა სამხედრო მოქმედების საერთო გეგმაზე. იერიში განზრახულია სამ დღეს და იაპონელებს იმედი აქვთ, რომ ბრძოლა ციხის აღებით გათავდება. იაპონელებს იმდენად საკმაო ჯარი ჰყავთ, რომ შეუძლიანთ მუდამ ყველგან იყოლიონ იერიშის მისატანად საჭირო რიცხვი ჯარისა, სახელდობრ—60 ათასი კაცი.—7 აგვისტოს იაპონელებმა გადასხეს დალნში 4 ათასი კაცი. თუ საერთო იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა, იაპონელები უთუოდ ხანგრძლივ ალყას შეუდგებიან.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). იაპონიის მთავრობამ აცნობა „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტს იაპონიის აზრი „რეშიტელნი“-ს შეპყრობის შესახებ. იაპონია აცხადებს, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტი სრული არ არის და ძალა აქვს მხოლოდ იმ ტერიტორიებში, რომელნიც არც ერთ მებრძოლ სახელმწიფოს არ უჭირავს. რუსეთს ნება არა აქვს დამარცხების შემდეგ თავიდან ასაცილებლად ჯარი ან ფლოტი ჩინეთის სანეიტრალო ადგილებში ჰგზავნოს ხოლმე. ნაღმიანმა გემმა „რეშიტელნი“-მ თავი შეაფარა ჩიფუში და ამით ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვია. ეს გარემოება ნებას აძლევს იაპონიას ჩიფუ ამ ჟამად ერთ-ერთ მებრძოლ სახელმწიფოს ნავთ-სადგურად ჩასთვალოს. განცხადება, ვითომ „რეშიტელნი“-ს იარაღი აჰყარესო, მართალი არ არის. გარდა ამისა, „რეშიტელნი“-ზე მყოფი რუსები პირველად თითონ დაეცნენ იაპონელთ, რაც, იაპონიის მთავრობის აზრით, ნებას არ აძლევს რუსეთს პროტესტის განცხადებისა იმ შემთხვევაშიაც-კი, რომ „რეშიტელნ“-ის შეპყრობა კანონიერების მხრივ სადავო იყოს. იაპონია თავის მხრივ სჩივის იმის გამო, რომ რუსეთი ჩინეთის ნეიტრალიტეტს არღვევს; მაგალითად, ასეთი დარღვევაა: რადიოგრაფიულ სადგურის აშენება ჩიფუსა და პორტ-არტურს შუა, აგრეთვე, შეიარაღებულ გემების „ასკოლდ“-ისა და „გროზოვოი“-ს დიდის ხნით დარჩენა შანჰაიში.

ხარბინი. მოვიდა კაუფმანის სახელობის მოწყალების დათა საზოგადოების რაზმი, რომელსაც მოჰყვა რწმუნებული, იალტის თავად-აზნაურთა წინამძღოლი პოპოვი.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი 2 აგვისტოს ვლადივოსტოკს მისულა თავის ამალით. („რ. ს.“).

2 აგვისტოს რუსეთის საზღვაო სამინისტროს მმართველმა გენერალ-ადიუტანტმა აველანმა კრონშტადტის ნავთსადგურში ბალტიის ესკადრის ჯავშნიანი გემები „ბოროდინო“, „სისოი ველიკი“ და „ორიოლი“ დაათვალიერა. („რ.“).

1 აგვისტოს გემ. „ონეგა“-თი პეტერბურგიდან კონტრ-ადმირალი როჟდესტვენსკი კრონშტადტს მივიდა, დიდ რეიდზე საესკადრო ჯავშნიან გემ „თავად სუვოროვ“-ზე გადავიდა და ესკადრის უფროსის ბაირაღი გაშალა. სხვა გემებმა სამხედრო სალამი მისცეს ბაირაღს; მერე პორტის უფროსის ბრძანებით სიგნალი მისცეს: „დიდ ოკეანის მეორე ესკადრას: ღმერთმა დალოცოს თქვენი მგზავრობა რუსეთის სასახელოდა და სადიდებლად, გულადად და მხნე იყავით“. ჯავშნიანმა გემმა „თავადმა სუვოროვმა“ სიგნალით უპასუხა: „გულწრფელად გმადლობთ“. („ი. ტე.“).

ადმირალ აველანს უთქვამს „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტისათვის: 1 აგვისტოს ბრძოლის დროს ვლადივოსტოკის ესკადრას ადმირალი სკრიდლოვი როდი უფროსობდაო. ბალტიის ესკადრა რამდენისამე დღის შემდეგ წავა შორეულ-აღმოსავლეთსაო. („რ. ლ.“).

დიდ ოკეანის ფლოტის უფროსმა ადმირალმა სკრიდლოვმა ჩდეპეშით გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადა განსვენებულ ადმირალ ვიტგეფტის ქვრივს. („რ. ს.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: იაპონელებმა იცოდნენ, რომ „რეშიტელნი“-ს მნიშვნელოვანი ქაღალდები მიჰქონდა და ამიტომ დაიჭირეს ეს გემიო. იაპონელი მეზღვაურები ჩიფუში ადმირალ ტოგოს ბძანებით მისულან და არა თავიანთის საკუთარის ნებითაო. („რ. ლ.“).

იაპონიის საელჩო ვაშინგტონში (ამერიკაში) დარწმუნებულია, რომ „რეშიტელნი“-ს საქმე მშვიდობიანად გათავდებაო. („რ. ვ.“).

გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული გაზეთები ამბობენ, რუსის გემებს ცინდაოში თითონ იმპერატორ ვილჰელმის ბძანებით აჰყარეს იარაღიო. „ცესარევიჩ“-ის მეზღვაურები ომის გათავებამდე გერმანიის კოლონიაში დარჩებიან საცხოვრებლადაო.

ამბობენ, ვითომ იაპონიის მთავრობა ძლიერ ემდურის გერმანიას და ნეიტრალიტეტის დარღვევას აბრალებსო. უფრო იმაზე ემდურის, რომ გერმანელებს ცინდაოში ქვა-ნახშირი წინადვე მოემზადებინათ რუსის გემებისათვისაო. მაგრამ იაპონიის საელჩომ ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადა, მას აქეთ რაც ომი დაიწყო, გერმანიას არაფერი არ დაუშავებია იაპონიისათვისაო. („ნ. დ.“).

21 ივლისს, შაბათს, ტოკიოში უმაღლესი სამხედრო საბჭო შეიკრიბა საგანგებოდ და იმპერატორის თავმჯდომარეობით თათბირი მოახდინა („რ. ლ.“).

ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთმა კრეისერები იყიდა არგენტინისაგან და ვლადივოსტოკის ესკადრას მიუმატაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. ვ. მ. სწერს: არგენტინისაგან რუსეთს ორის ჯავშნიან კრეისერის „გარიბალდი“-სა და „პუეირედონ“-ის სყიდვა შეეძლო. ეს კრეისერები „ნისინ“-სა და „კასუგა“-ს ჰგვანან, მხოლოდ 6 წლით ადრე იმათზე აშენებული, სიდიდით ცოტა ნაკლებია (6,840 ტონა წყალ წყვისაა თითო), იარაღი და ჯავშანიც ნაკლები აქვთ. რუსეთს რომ ნამდვილად ეყიდნოს ეს კრეისერები, ვლადივოსტოკის ესკადრა უსათუოდ თან წაიყვანდა და 1 აგვისტოს ბრძოლის დროს თან ეყოლებოდაო. სჩანს,

ცნობა ამ კრეისერების შეძენაზე ცოტა ნაადრევი უნდა იყოსო.

ხმა დადის, ვითომ ლივორნოში (იტალიაში) ორ ჯავშნიან კრეისერს და გენუაში (იტალიაში) ერთ ჯავშნიან კრეისერ აშენებენ იაპონიისათვის. სამსავე კრეისერს 10 ათასი ტონა წყალ-წყვა ექმნებათ თითოს და საათში 21-22 მილს გაივლიან. ამ კრეისერებს 14-16 თვის შემდეგ ჩაუშვებენ ზღვაშიო. („ლ. დ.“).

რუსულ გაზეთების კორესპონდენტები ერთხმად იუწყებიან, ლიაოიანთან სამხედრო მოქმედება თითქმის შედგა, იაპონელებმა უმთავრესი ყურადღება პორტ-არტურს მიაქციესო.

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ: გენ. ნოგის პორტ-არტურთან 90 ათასი კაცი ჰყავს და 450 ზარბაზანი აქვს, გენ. სტესელს 22 ათასა კაცი ჰყავსო. („ნ. დ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: სინმინტინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 1000 რუსის ყაზახი მოქმედებს, მაგრამ მაინც ხუნხუზები თავისას არ იშლიან და ჩინეთის ჩრდილოეთ რკინის გზას ანგრევენ. აქ ისევ დიდი წვიმები დაიწყოო. („მ. ვ.“).

ვლადივოსტოკის ესკადრისა და ადმირალ კამიმურას ესკადრის ბრძოლა, 1 **აგვისტოს.** ადმირალმა კამიმურამ მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბს: 1 აგვისტოს, დილის 5 საათზე 30 წ. კორეის სრუტეში, ფუზანს ახლო, ვლადივოსტოკის ესკადრას შევხვდი. რუსებს სამი დიდი ჯავშნიანი კრეისერი ჰყავდათ: „გრომობოი“, „როსია„ და „რიურიკ“-ი; მე მყავდა: ჯავშნიანი კრეისერები „აზამა“, „იძუმა“, „ტოკივა“ და „ივატე“. რუსები წასვლას აპირობდნენ, მაგრამ გზა მოვუჭერით და ჩრდილოეთისაკენ აღარ გავუშვით. გაიმართა ბრძოლა. კრეისერი „რიურიკ“-ი სხვებზე ნელა დადიოდა და ამიტომ ზარბაზანი უფრო ამ კრეისერს დავუშინეთ. „გრომობოი“ და „როსია“ ეშველებოდნენ „რიურიკ“-ს. როცა რუსის კრეისერები ახლო მოდიოდნენ, სამივეს ვესროდით ზარბაზანს; სამივე გემს რამდენჯერმე ცეცხლი წაეკიდა და სამივე ძლიერ დაზიანდა. ბოლოს „რიურიკ“-ს ბრძოლის თავი აღარა ჰქონდა: ზარბაზნები თითქმის სულ მთლად დავუზიანეთ და სროლა აღარ შეეძლო; „რიურიკ“-ი მარცხენა მხარეს გადიხარა, ბოლოც დაუშო. „როსია-მა და „გრომობოი“-ამ თავი გაანებეს და გაქანებული ზევითკენ წავიდნენ. ამ დროს კრეისერები „ნანივა“ და „ტაკაშიხო“ მოვიდნენ და ადმირალის ბრძანებით „რიურიკ“-ზე იერიში მიიტანეს. ჯავშნიანი კრეისერები „ივატე“, „იძუმა“, „ტოკივა“ და „აზამა“ მაშინვე „როსსია“-სა „გრომობოი“-ს გამოუდგნენ, კარგა ხანს სდიეს, ძლიერ დააზიანეს და დილის 10 ს. 19 წუთზე ისევ სამხრეთისაკენ გაბრუნდნენ. უნდოდათ ხელ-ახლად დასცემოდნენ „რიურიკ“-ს, მაგრამ აქ გავიგეთ, რომ „რიურიკი“ ჩაეძირათ კიდევაც. მაშინვე ბრძანება გავეცი, რომ „რიურიკ“-ის მეზღვაურები წყლიდან ამოეყვანათ; 600 რუსის მეზღვაური გადავარჩინეთ. ჩვენი გემებიც დაზიანდა, მაგრამ სათქმელად არც ერთი არაა დაზიანებული. ჩვენი მეზღვაურები მეტად კარგ გუნებაზე არიან. („ნ. ვ.“).

იაპონიის იმპერატორმა, გამარჯვებით გახარებულმა, ბრძანება გამოსცა და ადმირალ კამიმურას მადლობა გადაუხადა ვლადივოსტოკის ესკადრის დამარცხებისათვის. („მ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ„-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: 10 აგვისტოს იაპონელებს 10 აფიცერი და 100 მატროსი დააკლდათ მოკლული და დაჭრილიო. („რ. ვ.“).

რუსებს ამ ბრძოლის დროს „როსსია“-სა და „გრომობოი“-ზე 5 აფიცერი და 135 მატროსი მოუკლეს და 12 აფიცერი და 370 მატროსი დაუჭრეს. „რიურიკ“-ზე სულ დაახლოვებით 700-მდე მეზღვაური იქმნებოდა; ამათგან 600 კაცი იაპონელებს გადაურჩენიათ.

აი ბრძოლის თაობაზე „რუსკია ვედომოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელი ბ. ვ. მ. სწერს: 1 აგვისტოს ბრძოლის დროს რუსებს სამი ჯავშნიანი კრეისერი ჰყავდათ „გრომობოი“, „როსსია“ და „რიურიკ“-ი, იაპონელებს—4 ჯავშნიანი კრეისერი: „აზამა“, „ივატე“, „იძუმო“ და „ტოკივა“ და პალუბა ჯავშნიანი კრეისერები „ნანივა“ და „ტაკაშიხო“. რუსებს სამ გემზე 66 დიდი ზარბაზანი ჰქონდათ და ერთბაშად 193 ფუთ ყუმბარის გასროლა შეეძლოთ; იაპონელებს 6 გემზე 88 დიდი ზარბაზანი ჰქონდათ და ერთბაშად 310 ფუთ ყუმბარის გასროლა შეეძლოთ. ადმირალ კამიმურას თავისი ჯავშნიანი კრეისერები კილვატერის რიგზე (სიგძეზე, ერთი-მეორის უკან) გაუმწკრივებია, ორი სუსტი კრეისერი „ნანივა“ და „ტაკაშიხო“ ბოლოში დაუყენებია, მარქაფად. ჯერ ჯავშნიანმა გემებმა დააზიანეს კრეისერი „რიურიკ“-ი და იმისი ზარბაზნები და მერე ორმა პატარა კრეისერმა მიიტანა იერიში დაზიანებულ გემზე.

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ს ატყობინებენ: ერთმა იაპონელმა მეზღვაურმა აფიცერმა ილაპარაკა, 1 აგვისტოს ფუზანთან ბრძოლის დროს, ორივე ესკადრა ნელ-ნელა დაუახლოვდა ერთმანეთს და ორივე მშვენივრად მოძრაობდაო. („რ. ს.“).

1 აგვისტოს ბრძოლაში კრეისერი „ტაკაშიხო“-ც იღებდა მონაწილეობას. რუსეთის ელჩის ბ. პავლოვის მოხსენებაში ეწერა, კრეისერი „ტაკაშიხო“ 27 იანვარს ჩემულპოსთან ბრძოლის დროს დაზიანდა და ჩაიძირაო, მაგრამ იაპონიის ელჩებმა მაშინვე უარ-ჰყვეს ეს ცნობა და გამოაცხადეს „ტაკაშიხო“ არ დაღუპულაო. ეხლა გამოჩნდა, რომ იაპონელები მართლები ყოფილან.

რუსის კრეისერი „რიურიკ“-ი. 1 აგვისტოს ფუზანთან ბრძოლის დროს რუსის კრეისერი „რიურიკ“-ი დაიღუპა. „რიურიკ“-ი 1892 წელს იყო აშენებული, სიგძე—432 ფუტი (თითქმის 62 საჟენი) ჰქონდა, წყალწყვა 11,690 ტონა; საათში 19 მილს გადიოდა, თან 2,300 ტონა ქვა-ნახშირი მიჰქონდა და დაახლოვებით 30—35 დღეს ჰყოფნიდა ეს ქვა-ნახშირი. გვერდებსა, ბოლოსა და შუბლზე 4 რვა დიუმიანი ზარბაზანი ჰქონდა, 16 ექვს-დიუმიანი, 6 ხუთ-დიუმიანი და 22 პატარა ზარბაზანი. ამას გარდა 6 ნაღმის სასროლი აპარატი ჰქონდა; საკმაოდ სქელი ჯავშანი ჰქონდა: გვერდებზე—254 მილიმეტრის სისქისა და პალუბაზე—60 მილიმეტრის სისქისა. „რიურიკ“-ზე 719 მეღვაური მსახურებდა. მართალია „რიურიკ“-ი ბევრში უვარდებოდა თავის ამხანაგებს „გრომობოი“-სა და „როსია“-ს, მაგრამ მაინც ისიც მეტად კარგი, ძლიერი, მრისხანე და სასარგებლო სამხედრო გემი იყო. („ნ. დ.“).

პორტ-არტურის ესკადრისა და ადმირალ ტოგოს ესკადრის ბრძოლა, 28 ივლისს. გაზეთებში მეტად ცოტა ცნობა იბეჭდება ამ დიდად მნიშვნელოვან ბრძოლის თაობაზე; ჯერ ადმირალ ტოგოს დაწვრილებითი მოხსენებაც არაა დაბეჭდილი. ცხადია მხოლოდ რომ რუსის ესკადრამ ვერ მოახერხა ვლადივოსტოკისაკენ წასვლა და მომეტებულ ნაწილად ისევ პორტ-არტურს დაბრუნდა. დეპეშამ გვაცნობა, ვითომ რუსის ესკადრა 3 აგვისტოს ხელ-ახლად გავიდა პორტ-არტურიდანაო, მაგრამ ეს ცნობა, ჯერ-ჯერობით მაინც, არ გამართლდა.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი და სხვა გერმანული გაზეთები ამბობენ, 28 ივლისს ბრძოლის დროს, რუსის გემები, ეტყობა, ძლიერ დაზიანებულაო; ადმირალ ვიტგეფტის სიკვდილსაც დიდი მნიშვნელობა აქვსო. („რ. ლ.“).

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ ცინდაოდან: „ცესარევიჩ“-ი ძლიერაა დაზიანებული. იაპონელები შუადღიდან საღამომდე ზარბაზანს ესროდნენ თურმე, „ცესარევიჩ“-ს. ადმირალი ვიტგეფტი $11^1/_2$ საათზე მოუკლავთ: ყუმბარას სულ ლუკმა-ლუკმა დაუფლეთია. ადმირალს ახლო 4 აფიცერიც სხვა მოუკლავს. „ცესარევიჩ“-ის შემდეგ ცინდაოში რუსის კონტ-ნაღმიანი გემი მოვიდა; ესეც ძლიერაა დაზიანებული. ნახევარ საათის შემდეგ „ნოვიკ“-იც მოვიდა; ეტყობა, ეს კრეისერი დაზიანებული არ უნდა იყოს. „ნოვიკ“-მა ნახშირი დაუდო და მეორე დღეს 3 საათზე წავიდა. „ცესარევიჩ“-ს ძლივს მოუღწევია ცინდაომდე: ოთხ მილს ძლივს მოდიოდა, თურმე, საათში. „ცესარევიჩ“-ს საჭე („რული“) დამტვრეული აქვს, ერთი დიდი ზარბაზანი დაზიანებული, ანძები („მაჩტები“) დალეწილი, საკვამლეები სულ დაცხავებული. კრეისერი „ასკოლდ“-ი და ერთი კონტრ-ნაღმიანი გემიც მოუახლოვდნენ ცინდაოს, მაგრამ იაპონელების მოდარაჯე კრეისერი დაინახეს და ქვევით შანჰაისაკენ გაემართნენ. „ცესარევიჩ“-ზე კაპიტნის ხიდი და პალუბა სისხლითაა შეღებილი. („ნ. დ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ იოკოჰამიდან: რუსებმა ცინდაოში 60 მეზღვაური დაასაფლავესო.

რუსეთის საზღვაო მინისტრს ადმირალ აველანს ვითომ ეთქვას „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტისათვის: კრეისერი „ნოვიკ“-ი ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდაო. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ იმ კომიტეტმა, რომელიც დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ იმყოფება, სთხოვა ტფილისის გუბერნატორს გამოაცხადოს გუბერნიის მკვიდრთა საყურადღებოდ, რომ **ომში მოკლულთა და დაკარგულთა** ქვრივ-ობლებმა შემდეგ ნაირად უნდა მოითხოვონ დახმარება იმ ფონდიდან, რომელიც მოსკოვის საბირჟო და სავაჭრო საზოგადოებებმა შეადგინეს. თხოვნა უნდა გაიგზავნოს მოსკოვის ვაჭართა გამგეობის სახელზე. თხოვნასთან ერთად უნდა გაიგზავნოს შემდეგი საბუთები: 1. სამხედრო უფროსის (ВОИНСКІЙ НАЧАЛЬНИКЪ) მოწმობა, რომ ესა თუ ის პირი მოკვდა, დაიღუპა ან დაიჭრა, ისე რომ შრომა აღარ შეუძლიან; 2. ქვრივ-ობლების მეტრიკა წლოვანობისა და მოწმობა საპოლიციო სამმართველოდან, რომ ობლების ცხოვრების წყაროს შეადგენდა მხოლოდ გარდაცვლილის ან დაღუპულის ჯამაგირი

◆ გუშინ საგუბერნიო გამგეობამ გაუგზავნა **ტფილისის ქალაქის გამგეობას** 65 ათასი მანეთი. ეს ფული ქალაქს შემწეობად მიეცა ჯარის სადგომების დასაქირავებლად.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რადგან არდაგანსა და ახალქალაქს შუა მთავრობის **სატელეგრაფო მავთულებს და ბოძებს** განზრახ ახდენენ, რასაც შედეგად დეპეშების შეფერხება მოსდევს, მოახდინეთ განკარგულება, რომ საპოლიციო მოხელეებმა უდარაჯონ ამ მავთულებსაო.

◆ 8 აგვისტოს მოხდა კრება ტფილისის **დურგალთა ამხანაგობისა.** ნახევარი წლის ანგარიშის განხილვა კრებამ ორის კვირით გადასდო, რადგან ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიამ თვისი მოხსენება ვერ წარუდგინა. კამათი გამოიწვია ზოგიერთ წევრის შენიშვნამ, რომ დაკვეთილი სამუშაოები დროზე ვერა სრულდება და ქარხნის მომუშავენიც დროზე ფულს ვერ იღებენო. კრებამ ამის გამო ხმის უმეტესობით დაადგინა, საყვედური გამოუცხადოს გამგეობას უმოქმედობისათვის. კრებამ ამასთან ამოარჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალა, ორის კვირის განმავლობაში შეისწავლოს ამხანაგობის საქმეთა ხელის შემშლელი მიზეზები და შემდეგ კრებას მოხსენება წარუდგინოს.

◆ კავკავში ამას წინად ღამე ყაჩაღთა **ბრბო დასცემია** შუშის საწყობს რკინის გზის სადგურთან. ისეთი სროლა ამტყდარა, რომ მთელ ქალაქს გამოჰღვიძებია. მოუკლავთ პოლიციელი და დაუჭრიათ რეალისტი ოქე.

ფელეტონი

გზა და გზა

(წერილი ოსმალეთიდან)

მთელი ქვეყანა რომ მოიაროთ, კონსტანტინეპოლისა და მის მიდამოსთანა ბუნებით შემკულს და მდებარეობით მშვენიერ ადგილს ვერსად იხილავთ. ბოსფორის შესავლიდან თვით კონსტანტინეპოლამდის თქვენს თვალ წინ გადაშლილია თითქოს ხელოვნურად დაკლაკნილი მისახვევ-მოსახვევი ველი—გეგონებათ, ზღაპრულ ქვეყანაში შევედიო. გემი შავის ზღვის ბოსფორის შესავლიდან კონსტანტინეპოლის ნავთ-სადგურამდე უნდება 2 საათამდის. მთელ ამ გზაზე აქეთ-იქით სულ ბაღებია და სხვა-და-სხვა ყვავილოვანი და უყვავილო ხეებია. ამ ხე-ბაღნართა შორის, ზღვის მომაღლო ნაპირიდან ხშირად გადმოიყურება მშვენიერ გეგმაზე აგებული სახლები. დილა ადრიანად მზის სხივები აასკეცებს ამ მშვენიერ სურათს სარკმლებიდან გამონატყორცნ შუქებით.

აღტაცებაში მოდიხართ, გგონიათ, სამოთხის კარებში შევდგი ფეხით და სტკბებით. გავიწყდებათ გზაში ნანახი სიგლახე და სიბინძურე ოსმალეთის მცხოვრებლებისა, იმათი ბინძური ქალაქები და უხეირო მორთვა-მოკაზმულობა. დიახ, კონსტანტინეპოლი მშვენიერია ამ სრუტეში გავლის დროს, მაგრამ მივა თუ არა ნავი სადგურზე. თქვენს ოცნებასა, აღფრთოვანებას და მთელ თქვენს სიამოვნებას უცბად ფრთები ეკვეცება, იმდენ არა სანიამოვნოს ჰხედავთ.

აქვე გემზე ამოცვივდებიან და თავს მოგაბეზრებენ ჯერ მენავენი, რომელნიც თითქმის ძალაზე არიან, ავეჯს ხელიდან გტაცებენ და ნავში ძალით აგდებენ. იქვე შემოაქვთ ათას ნაირი, ყოვლად უვარგისი სავაჭროები და ძალით გაჩრიან, იყიდეო. სავსეა იქაურობა მეხილეებით, მეწვრილმანეებით, მეთუთუნეებით. დიდის წვალებისა, ჩხუბისა და აყალ-მაყალის შემდეგ გადადიხართ ნაპირზე (რუსისა, იტალიისა და ავსტრიის გემები ნაპირს „კერ“-ს არ ადგებიან) სანამ იქ მიაღწევდეთ, რევიზიასაც გიზმენ. პოლიციის მოხელე შიგ ზღვაშივე შეგეფეთება და გკითხავთ, რამდენნი ხართ ნავშიო და პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე დასწერს მგზავრთა რაოდენობას. უამისოდ ნაპირზე არავის გაუშვებენ. ახლა ნაპირზე! აქ ხომ ლეგიონი დაგხვდებათ წინ, ცალკე პოლიციელების, ცალკე ჯაშუშებისა (კონსტანტინეპოლში უთვალავ მოწყალე ფადიშაჰის ჯამაგირით 35 ათასი ჯაშუში ირჩენს თავს; მეტი ნაწილი ქალაქში დათარეშობს და მსუნაგ ძაღლივით ეძებს, ვინმე დაიჭიროს, ბრალიანი ან უბრალო; საკმარისია მცირე ოდენი ეჭვიც-კი. ხელად გაჰკოჭონ და გაჰგზავნონ სადაც საჭიროა). ნავიდან ფეხს ამოსდგამთ თუ არა, პოლიციელი პასპორტს მოგთხოვთ. ნაპირიდან დამოჟნამდის სულ ათი ნაბიჯი იქნება; მაგრამ ამ ათ ნაბიჯის გავლა და შემდეგ დამოჟნიდან ქუჩაში გასვლა იაფად არ დაგიჯდება. ვერაფერ კაი სურათს ვერც საბაჟო წარმოადგენს. ოთახში, სტოლის გარშემო სდგას დამოჟნის რამდენიმე მოხელე, გარს ახვევიან პოლიციელნი და ჯაშუშები. მებაჟე ახსნევინებს მგზავრებს თავ თავიანთ ჩემოდნებსა და ათვალიერებს, რომ საბაჟო რამე არ იყოს შიგ; ჯაშუშები-კი თვალდაშტერებულნი უცქერიან, რამე გაზეთი ან წიგნი ხომ არა აქვს მგზავრსო. მაგრამ ყველა ეს სულ უბრალო თვალთ მაქცობაა. ათ მაურიანით შეგიძლიან ყველა დაბრკოლება აიცილოთ თავიდან. ქუჩები ძალიან უსუფთაოა კონსტანტინეპოლში. ქუჩაში გასვლისას ცხვირზე ხელი უნდა მოიჭიროთ. „გალატაში“ (საუკეთესო სავაჭრო ნაწილია კონსტანტინეპოლისა) შმორის სუნი სდგას. მტვერს, სიბინძურეს, ორღო-ჩორღოს—აი, რას იხილავთ დამოჟნიდან გამოსვლისთანავე. ამნაირად ბოსფორში ნახულს სიმშვენიერეს ეს სურათები მალე აქარწყლებს.

ცხოვრება კონსტანტინეპოლში ისევე უსიცოცხლოდ მიმდინარეობს, როგორც წინად, ამ რამდენისამე წლის წინად, მიმდინარეობდა. ყველგან უსიცოცხლობა, დაჩაგრულობა, მონობა, სიბნელე და სიდატაკე. გამრავლება მხოლოდ ჯაშუშთა რიცხვს ეტყობა. ესენი ყველგან და ყველა ქუჩაში მრავლად დადიან და დაეძებენ მსხვერპლებს; გაზეთები იმდენივე გამოდის, როგორც წინეთ გამოდიოდა, ერთის სიტყვით არავითარი ცვლილება არ არის. როგორც მთავრობა, ისე მისი ქვეშევრდომნი და თვით ევროპიელთა უმეტესობაც რადაც შპიონობს სურვილს შეუპყრია ან სომეხთა აჯანყების მოთავე ან ახალ თურქთა წინამძღოლი: ნახონ სადმე გამოღილი გაზეთი, მთავრობის საწინააღმდეგო რამ წერილი და სხვა. ერთ საპატიო კაცს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ოსმალეთში აკრძალული გაზეთი უპოვნეს, ამისთვის ექვსის წლით დაპატიმრეს და შემდეგ გადაასახლეს; თავისუფლება ეხლა, ვიდრე წინად, უფრო შეკვეცილია, ცხოვრება უფრო შევიწროებულია. მონობასა და სიბეჩავეს, შიშს შეუბოჭავს ოსმალეთის ქვეშევრდომი. უპასპორტოდ კაცი ვერსად ფეხს ვერ გადასდგამს, შინაც და გარედაც ყველგან პასპორტია საჭირო.

ახალ თურქთა მოძრაობა საშინლად შესუსტებულა. ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც მთავრობას შერიგებია, კარგ ჯამაგირს იღებს და ხმა გაუკმენდია. აქ ქართველი ფაშებიც არიან, მაგრამ იმათი ნახვა თითქმის შეუძლებელია. ვინც რომელიმე ფაშასთან ან სხვა დიდ კაცთან მივა, უეჭველად დააბეზღებენ, სულთანს მოახსენებენ, ესა და ეს კაცი იყო ამა და ამ კაცისასო. ფაშას უეჭველად მეორე დღესვე სასახლეში სულთანის მდივანი ჩვენებას ჩამოართმევს. ჩვენება ნამდვილი უნდა იყოს, რადგან არც ერთი მასპინძელი არ არის დარწმუნებული, რომ იმისი სტუმარი ჯაშუში არ იყო. ვაი იმის დღეს, თუ ტყუილი გამოდგა. ამნაირად მთელი

◆ როგორც ბაქოს გაზეთები სწერენ, რუშტენიკოვს, რომელზედაც ამბობდნენ, **ხოლერით არის ავადაო**, გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხოლერა არა ჰქონია.

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო** სასწავლებლის გამგედ დროებით მიწვეულ იქმნა ნიკიტის სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ბ-ნი დანელია.

◆ **ბაქოს ქალაქის** გამგეობას განუზრახავს ბაქოში ელექტრონის ტრამვაის გამართვა. იქაური ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისისას, გაუგზავნოს თუ რამ მასალა აქვს ამ საქმის შესახებ.

◆ 7 აგვისტოს ტფილისის საბადოსნო სასწავლებლის უკანასკნელ კლასის მოწაფეებმა დაათვალიერეს დ. ზ. სარაჯიშვილის ღვინის სარდაფი. ფირმის გამგემ ბ-ნმა პ. ი. ყიფიანმა მოწაფეებს დაწვრილებით და სათვალდათვალოდ აუხსნა ყველაფერი. ამავე დღეს მოწაფეებმა დაათვალიერეს საუფლისწულო უწყების სარდაფი ვერაზე.

◆ „სვეტის“ ფირმამ პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი თანახმაა, გამგეობის პირობებისამებრ, ქალაქს დიდი ფარნები გაუმართოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მასწავლებელი ნასიძე ავლაბრის პირველ სასწავლებლიდან ჩუღურეთის სკოლაში გადაიყვანა. სახალხო სკოლების დირექტორმა შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ იგი ვერ დაამტკიცებს ნასიძის გადაყვანის შესახებ სასწავლებელთა კომისიის დადგენილებას, რადგან ნასიძისათვის ჩუღურეთში გადაყვანა სამსახურში დაწინაურებაა და ეს-კი ნასიძეს, დირექციის აზრით, არაფრით არ დაუმსახურებია.

◆ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ გუშინ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის, რომ ექიმებს ალექსანდრე ბადარჯიშვილს, ლევან ქალანთარიანცს და თამარ ბუშტეანს ნება მიეცეთ, ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში უსასყიდლოდ იმუშაონ.

◆ ტფილისის სასაზინო პალატის თანაშემწე ალექსანდრე მიხაილოვი დაინიშნა ბაქოს სასაზინო პალატის გამგედ.

◆ როგორც „ნ. ობ.“-ს ატყობინებენ, განჯაში შეუპყრიათ საგარეჯოს მცხოვრები სპირიდონ გრიტიაშვილი. გრიტიაშვილი გაქცეული იყო 1901 წელს, მოუკლავს თავისივე სოფლელი ისიდორე რატიაშვილი და დაუწვია საპოლიციო დარაჯი.

◆ საგირი. 8 აგვისტოს, მე-635 ვერსზე, მაშადი-ჰასან-ოღლი გადმოხტა საქონლის მატარებლიდან № 164, ჩავარდა ვაგონებს ქვეშ და თვლებმა ორივე ფეხი მოსწყვიტა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰასან-ოღლი გარდაიცვალა.

◆ თელავის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ამ თვის განმავლობაში: 1. ქ. თელავის მცხოვრებმა გიგო ლოდაძემ და სოფ. კურდღელაურის მცხოვრებმა ვასო სოსიკაშვილმა თელავის საზოგადო ბაღში შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებით პოლიციელებს სტანისლავ შეინს და მიხეილ კურაშიძეს; 2. სოფ. ნაფარეულის მცხოვრებმა ზაქარია რაიბულმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა თავში ნამგლით თავისივე მეზობელი მიხეილ ბუცინაშვილი; 3. სოფ. შიანის მცხოვრებს მედავითნეს მაქსიმე ჩეკურიშვილს და სოლომონ ვაჩნაძეს, რომელნიც ნასვამები ყოფილან, გზაში მძიმედ დაუჭრიათ ერთმანეთი ხანჯლით; 4. სოფ. ახმეტაში ბაცილაშვილს თავის ძმა ნიკოლოზთან ჩხუბი მოსვლია და თავი გაუჩეხია კეტით; 5. სოფ. ფშაველის მცხოვრებს ივანე რაიბულს მუშაობის დროს მოუკლავს ამავე სოფლელი გლეხი ტიმოთე მჭედლიშვილი; 6. სოფ. ყვარელში ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალმა თებრო ჯამალაშვილმა უცაბედად თოფი გაისროლა, მოირტყა კისერში და იქვე გარდაიცვალა; 7. სოფ. ახალ-გავაზის მცხოვრებს თედო კეცელაშვილის 6 ურემ თივას და მთელს საბძელს, თივით სავსეს, ცეცხლი წაუკიდეს ვიღაც ბოროტ-მომქმედებმა.

◆ როგორც სოფ. ყვარლიდან (თელავის მაზრა) გვატყობინებენ, ამ დღეებში როდესაც მამასახლისი დავით ხორიდაშვილი საერობო დარაჯ ქელეზნიაკთან და ღამის ყარაულებს ნ. სეფაშვილთან და გ. გოგიშვილთან ერთად ეზოებს ათვალიერებდა, როგორც სანიტარიის წარმომადგენელი, ერთ ეზოში საეჭვო პირი შენიშნა, რომელსაც თავი მოემძინარებინა. როდესაც გააღვიძეს, იგი აღმოჩნდა დავით იბრაგიმაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინად ციმბირში გაგზავნილი ყოფილა. ყარაულებმა იგი შეიპყრეს. მაგრამ როდესაც რომდენიმე მანძილი გაატარეს, იბრაგიმაშვილი მობრუნდა და რევოლვერი დასცალა. მაშინ საერობო დარაჯმა ქელეზნიაკმა ბერდანის თოფი ესროლა იბრაგიმაშვილს და მძიმედ დასჭრა. მისცვივდნენ ყარაულები და დაჭრილს იარაღი აჰყარეს.

◆ ივლისის განმავლობაში ტფილისის საყასპოში დაუკლავთ სხვილ-ფეხი საქონელი 4915, ხბო—188, ღორი—9 და ცხვარი—16,078.

◆ 8 აგვისტოს, ღამის 1 საათზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე, პოლიციელებმა დაიჭირეს მილიციის პრაპორშჩიკის შვილი ნასრედინ ზეინალოვი, რომელსაც თავ. ერისთავის მზარეულის ონისიმე ჯავაშვილისათვის საათი, ქუდი და სხვა ნივთები მოეტაცნა და მიჰქონდა.

◆ ვორონცოვის ქუჩაზე გაქანებული ეტლი 8 აგვისტოს დასტაკებია პოლიციის მოხელეს მიხეილ ზაბეგაილოვის 5 წლის შვილს და ძალიან დაუშავებია. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა 21 ივლისს სასანიტარო მუხლების დარღვევის გამო თითო თუმანით დააჯარიმა შემდეგი სახლის-პატრონნი: პირველ უბანში: გ. სულაძე, ი. გონიაშვილი, ნ. ქორიძე, ა. მაისურაძე, ა. ბაბეს-ოღლი, ლ. ზუევისა, ი. ჯალალოვი, დ. მაისურაძე, ზ. ჯანფოლადოვი, მ. ლაზარევი, ჰაჯი-მამედ-ყურბან-ოღლი და გ. გოცირიძე. მეოთხეში—მ. რუსიევი, მეხუთეში—ი. სუსანაჯოვი, ა. თუმანიანცი, ე. ყაზაროვი, კ. ყაზაროვი, პ. პაპალოვი, ა. ბეპკლიანცი, ზ. ჯილავერდოვი, მ. მელიქოვი, ა. დანდუროვი, ხანა გერმანი და ნ. კუტლაევი.

◆ როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, იმ თვის ბოლოს სოფ. ხაშატინის მცხოვრებმა ყაჩაღ უსუფ-ალი-ოღლის ორ სხვა ამხანაგთან ერთად გაუტაცია 6 სული სხვილ-ფეხი და 11 სული წვრილ-ფეხი საქონელი, რომელიც ოს თაბველაშვილს ეკუთვნოდა. ყაჩაღებს ზაქათალის ოლქის ქიათურისა, კვახჩელის და ბელაქნის საპოლიციო დარაჯები დასდევნებიან და გზის შეკვრა მოუსურვებიათ, მაგრამ ყაჩაღებს თავისთვის უშველიათ და საქონელიც გაურეკიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ადესის ქალაქის უფროსმა, ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთის ცნობით, მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების ღსანიშნავად, ვადის შესრულებამდის გაანთავისუფლა უწესოების მოხდენისათვის დაპატიმრებული 140 კაცი და ქალი და განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ გაანთავისუფლონ სასჯელისაგან 9 კაცი და 3 ქალი, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინათ უწესოებიში მონაწილეობისათვის გაძლიერებულ დაცვის წესების თანახმად.

◆ კიევის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია, რომ კიევის გენერალ-გუბერნატორის ნ. კლეიგელსის განკარგულებით სხვა და სხვა ვადით, 3—1 თვემდე, უნდა დაპატიმრონ უწესოებაში მონაწილე 38 ებრაელი (34 კაცი და 4 ქალი).

◆ ჩერნომორ. გუბ. სოფ. ხოსტიდან სწერენ „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ადგილობრივ სკოლის მასწავლებელ ქალს განუზრახავს მოსწავლეთა მშობლებთან მოლაპარაკება სკოლის სხვა და სხვა საჭიროებათა შესახებ და მოუწვევია ისინი თავისთან, სასკოლო შენობაში. ეს გარემოება ბოქაულს გაუგია და ოფიციალურის წერილით მიუმართავს მასწავლებელ ქალისათვის, რომელშიაც ამბობს, არავითარი უფლება არა გაქვთ მოსწავლეთა მშობლები მიიწვიოთ თქვენთან, რადგან ეს კრება კანონის წინააღმდეგია. სკოლაში მხოლოდ მოწაფეებს შეუძლიათ მისვლა და არა კერძო პირთ. კერძო პირთ ოლქის უფროსს უნდა სთხოვონ ნებართვა. უნდა გაგახსენოთ აგრეთვე, რომ გასულ წელს თქვენგან გამართული შობის ხე და წვეულებაც უკანონო იყოო. წერილის გაგზავნის შემდეგ ბოქაულმა პოლიციელები დააყენა სკოლის შენობასთან და არავის არ უშვებდა შიგ.

◆ ვარშავის ოფიციალურ გაზეთის „ვარშ. დნ.“-ის ცნობით, სამართალშია მიცემული ადგილობრივი ბოქაული შპიგანოვიჩი იმის გამო, რომ მან ბოქაულის ადგილი ქრთამის ($1^1/_2$ ათასი მან.) საშუალებით იშოვა.

◆ საერო განათლების სამინისტროს პრინციპიალურად გადაუწყვეტია მისცეს ქალებს საბეითალო ინსტიტუტებში შესვლის უფლება. ამ მოკლე ხანში ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება ოფიციალურად. განზრახვა აქვთ ქალების განსაზღვრული რიცხვი მიიღონ საბეითალო ინსტიტუტებში.

◆ ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით გადასახადის ინსპექტორებს დაევალათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ, სამაზრო ერობებთან ერთად, დარჩენილ გადასახადის რაოდენობის გამორკვევას.

◆ რუსეთის გაზეთების ცნობით, ჟენევის უნივერსიტეტს ამას წინად სამეცნიერო ხარისხი მიუცია 16 რუსის ქალისა, 2 სომხის ქალისა და 2 ახალგაზდა რუსისათვის.

◆ რუსეთის რკინის გზების გამგეობანი ამ ჟამად ადგენენ პროექტს დებულებისას რკინის გზებზე მოსამსახურეთა შესახებ. აზრადა აქვთ ახალის წესების შემოღებით გააუმჯობესონ მოსამსახურეთა მდგომარეობა, რათა ისინი ასე ადვილად არ სტოვებდნენ სამსახურს. საზღვარ-გარეთის რკინის გზებთან შედარებით რუსეთში ბევრად მეტი რკინის გზის მოხელე სტოვებს თავის ადგილს. ახალ პროექტით მოსამსახურეთ ხუთ წელიწადში ერთხელ მიუმატებენ ჯამაგირს. შუა რიცხვით ავსტრ-ჰუნგრეთში რკინის გზის მოხელეს ეძლევა წელიწადში 495 მ., გერმანიაში—605 მ., შეერთებულ შტატებში—1106 მ., რუსეთში კი—325 მან.

◆ ჩინეთის საელჩოს შუამდგომლობით, მიღებულ იქმნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელებად 7 ახალგაზდა ჩინელი, რომელთაც მიეცათ უფლება სტუდენტებთან ერთად დაიჭირონ კურსიდან კურსზე გადასვლის ეგზამენი, რათა ბოლოს უნივერსიტეტის კურსის მოსმენის მოწმობა მიიღონ.

წერილები

სოფ. ბოსლევი (იმერეთი). შორაპნის მახლობლად მდებარე სოფლები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. გაზაფხულზე გადუღებელი წვიმები იყო, ასე რომ ძლივს მოასწრეს სიმინდის დათესვა; აქა-იქ კიდეც დარჩა დაუთესელი უამინდობისა გამო. ზაფხულში გვალვა დადგა და ახლად ამოსული სიმინდები სულ მიწაში ჩასწვა და ჩახრაკა. ყოველ გვარ სანოვაგის ფასმა ძლიერ აიწია, განსაკუთრებით სიმინდისამ. კოდი სიმინდი (ორი ფუთია) ჩვენში ჯერ-ჯერობით ფასობს 2 მ. 50 კ.-დან სამ მანეთამდის; შარშან კი ექვს აბაზად იყიდებოდა. სიძვირეს ვინ დაეძებს, როდესაც სასყიდლადაც აღარ იშოვება. ივლისის შუა რიცხვებში გაავდარდა და სიმინდები გამოკეთდა. ახლო-მახლო მდებარე სოფლები პურს ყიდულობენ ყვირილაში, მაგრამ აქაური მეპურეები ხეირიან პურს არ აცხობენ, უმეტესად ამჟავებული და უჭამური. დიდის მადლობის ღირსი იქნება ბატონი მეთვალყურე, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ყვირილის მეპურეებს და კარგ პურს გამოაცხობინებდეს. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“, ასე ემართებათ ჩვენის სოფლის მცხოვრებთ. ისეც გაჭირვებულ-გაღატაკებულთ შემოეჩვივნენ დაუპატიჟებელი სტუმრები და საპალახოდან იპარვენ საქონელს. ივლისის პირველ რიცხვებში მოჰპარეს გლ. არჩილა, თემურაზ, სპირიდონ და რუსუდანა კაპანაძეებს ცალ-ცალი ხარი, ღირებული ოთხივე 160 მანეთად. ერთი კვირის შემდეგ კიდევ მობრუნდნენ და შამშე ივანეს ძე აბაშიძეს მოჰპარეს სამი ცხენი, ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძეს—ერთი ცხენი, როსტომ დიმიტრის ძე აბაშიძეს—ერთი ჯორი და თავ. კონსტანტინე პავლეს ძე აბაშიძეს—ერთი ცხენი და ცალი საულე ხარი.

დროებით ბოსლეველი.

ს. საყულია (ქვემო იმერეთი). აქეთკენ მთელი გაზაფხული წვიმები იყო, რამაც ძლიერ შეუშალა ხელი ადრე სიმინდის თესვას. 16 მაისიდან 15 ივლისამდე ისეთი გვალვები დაიჭირა, რომ, მომსწრეთა სიტყვით, ასეთი გვალვები დიდიხანია აღარა ყოფილა. ნათესს ჯერ ამოსვლა გაუჭირდა და მერე ამდენის ხნის გვალვამ ისე დააკოლინა, რომ 15—16 ივლისამდე, სანამ ღონიერი წვიმა არ მოვიდა, სულ არ გაზდილა. ასე ნაკლები ყანები ჩვენში არ ყოფილა. სიმინდის ფასმა ძლიერ აიწია; ფუთი იყიდება 1—1 მ. 20 კ. ერთ უბანში ბევრს შემოაკლდა სიმინდი და ფურნიდან ხარჯავენ პურს; ზოგი ნისიად და ზოგი ნაღდად ყიდულობს. ვისაც პურის ფული არა აქვს, ის ხომ ნახევარჯერ მშიერია. 30 ივლისიდან აქაურ მამასახლისის განკარგულებით შეუდგნენ სად. მუხიანისკენ გზის კეთებას. ყოველ პარასკევ-შაბათობით მუშაობაა გაჩაღებული. გზის კეთებაში ყველა იღებს მონაწილეობას. მუხიანისკენ ორი გზა მიდის, მაგრამ ეს გზა უფრო ადვილი და ამასთან მოკლე მანძილზეა საკეთებელი. საჭიროა სხვა გზებსაც მიექცეს ყურადღება. რიონს გაღმა საბალახო მთაზე, რომელსაც „სახარიას“ ეძახიან, ივლისში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს ხარებს. გზები ყველგან შეჰკრეს, მაგრამ მაინც მთის ძირა სოფლებშიაც იჩინა თავი და თუ ბეითალთა რიცხვი არ მოგვიმატეს, მთელ ვაკე იმერეთს მოედება და ისედაც დაბეჩავებულ ხალხს სულ მოესპობა სახსარი ცხოვრებისა. ამ ორი წლის წინად რამდენმამე კაცმა განიზრახა სამარხ კასის დაარსება და კიდეც სთხოვეს სამინისტროს. სამინისტრომ ნება დართო, მაგრამ სისრულეში კი ვერ მოიყვანეს. ნება-რთვას ვადა გასულია და საჭიროა ხელ-ახლა ნება-რთვის აღება. იმედია, დაწყებულ საქმეს არ მიატოვებენ. **ს—ლი**

ყვირილა. 6 აგვისტოს მოხდა ბიბლიოთეკის წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრო 23 წევრი, და რადგან მეორედ იყო დანიშნული, კანონიერად იქნა ცნობილი. კრებაზე განხილულ იქნა 1903 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში; მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა. ანგარიშიდან სჩანს, რომ 1903 წ. 26 თებერვლიდან 1904 წ. 26 თებერვლამდის ბიბლიოთეკას შემოსვლია საწევრო ფული 98 მ. 40 კ., ორჯელ გამართულ კონცერტ-საღამოდან—112 მ. 51 კ., კერძო შემოწირულება—3 მ. 5 კ. და ყულაბიდან ამოღებული 3 მან., სულ 216 მანეთი 96 კ. ხარჯი ყოფილა—271 მ., ასე რომ შემოსავალს ხარჯმა გადააჭარბა 61 მანეთით. დიდი კამათი გამოიწვია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებამ. პირველი თხოულობდა, რომ საწევრო ფული 3 მანეთის მაგივრად ყოფილიყო 50 კ.—2 მანეთამდი და მდაბიო მკითხველს წიგნები უბეოდ მისცემოდა, მეორე თხოულობდა 1902 წ. გამგეებისაგან 54 მ., რომელიც ბიბლიოთეკის შენობის ასაგებ თანხად იყო გადადებული და შარშანდელ რევიზიის დროს აღმოჩნდა გაფლანგული, და ილია მაღლაკელიძეს სთხოვდა იმ ფულს, რომელიც უგროვებია მას ბიბლიოთეკისათვის ამ ორი წლის წინად. ხმის უმეტესობით გადაწყდა: დარჩეს წინანდებურად საწევრო ფული 3 მანეთი, მხოლოდ შემოტანილ იქნას იგი ნაწილ-ნაწილად; 1902 წ. ყოფილ გამგეებს გადახდეს 54 მ. ორი თვის განმავლობაში და ბ-ნ მაღლაკელიძემ წარუდგინოს შეგროვილი ფული ახლანდელს გამგეებს, რომლითაც შეძენილ იქნეს ქართული წიგნები. რადგან წლიური კრება ძრიელ გვიან მოხდა და ძველ გამგეებს 1904 წ. ანგარიშიც წარმოსადგენი აქვთ, ამიტომ კრებამ გადასწყვიტა, ძველი გამგენი და სარევიზიო კომისიის წევრნი დარჩნენ ისევ თავის ადგილზე პირველ იანვრამდის და დეკემბერში მოხდეს წევრთა საზოგადო კრება, მხოლოდ, რადგან ძველ გამგეებს სხვა და სხვა მიზეზების გამო მოაკლდათ ორი პირი, მათ მაგიერ არჩეულ იქნენ სხვანი. **საყულიელი**

სოფ. ჭოლა (სამეგრელო). ამისთანა წელიწადი არ ახსოვთ ჩვენში. გასულს წელს ამ სოფელს ძლიერ ნაკლები მოსავალი მოუვიდა, ასე რომ ოც კომლში ერთი არ გამოერევა, რომ შარშანდელის მოსავლით თავი ირჩინოს. აქ ხალხი სცხოვრობს მარტო სიმინდით, რომელიც დღეს 120—140 კაპეიკამდეა ფუთი, შარშან კი 45—50 კ. იყო. ხალხი ისე დაქვეითებულია, რომ 45—50 კ. იყოს, მაინც ვერ შესძლებს ყიდვას. ამ სოფლის სიმდიდრე იყო აბრეშუმის პარკის მოსავალი, მაგრამ წელს ბედმა უმტყუნათ და დარჩნენ ხელ-ცარიელნი. პირიქით ვალიც დაედოთ თესლის ფასი (თითო კოლოფი 4 მანეთად იყო დარიგებული). ძველებურად პარკი წრეულს არ მოსულა და რაც მოუვიდათ, ნახევარ ფასად გაიყიდა. ამ ჩვენს მხარეს მარტო ორი-სამია პარკის მყიდველი.

ოსმალეთის ერი, განურჩევლად წოდებისა, დიდი და პატარა, ხელში ჰყავთ დაჭერილი აბდულ ჰამიდის ჯაშუშებსა და მოხელეებს. ერთ უბრალო გაქნილ-გაქუცულ ქუჩის მაწანწალას შეუძლიან დაგაბეზღოთ და იქ ამოგაკვრევინოთ თავი, სადაც არ გიფიქრიათ.

არსად ოსმალეთში, არც ერთ ქალაქში არ მოიპოვება არც ტელეფონი და არც ელექტრონის განათება. ორივე ეს ხალიფის მიერ აკრძალულია. არაფერი შესანიშნავი აქ, თუ არ ძველი ხელოვნების ნაშთი, არა არის-რა. გალატის ნავთსაყუდელი „კე“ ფრანგების ხელშია. ეგონათ ფრანგები აქ მაინც შემოიტანენ თავიანთ სიფხიზლეს და შრომიანად მოაწყობენო, მაგრამ ოსმალეთის მძლავრმა ძილმა ამაზედაც იმოქმედა.

ოსმალეთის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ თავისებურია. „უქითაბო“ (უწიგნო) ხალხს რა შეუძლიანო,—ამბობენ ოსმალები.—მაგათ რჯულიც არა აქვთო. უქითაბოს ეძახიან იმ ერს, რომელსაც ზეციდან რჯულის წიგნი არ ჩამოსვლია. იაპონელები ასეთ ხალხად მიაჩნიათ ოსმალებს. „ჯერ შაითანი, ეშმაკი, ამარჯვებინებს, მაგრამ შემდეგ ნახავთ, როგორ სულ ერთიანად დაიღუპონ. ჩვენც-კი ვერ მოვერიეთ რუსებს და ეგენი ვინ არიან, ქონდრის კაცებიო“.

ხუთასი წლის ევროპაში ცხოვრებამ ოსმალეთი ძალიან ცოტად შეანძრია. იაპონია სულ 36 წელში ევროპას გაუთანასწორდა, ხოლო ოსმალეთს ჯერ თითქმის არც-კი გაუგია ხეირიანად, რა არის ევროპის ცივილიზაცია; იგი დღესაც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ რჯულზეა დამოკიდებული ცას ქვეშეთის კეთილ დღეობა. „ვინც მუსულმანი არ არის, ის არ შეიძლება ღვთის კაცი იყოსო“, ახლაც ამას დაღადებს ოსმალეთის ფილოსოფია. „დღეს თუ კაფურები იმარჯვებენ, ეს მხოლოდ დროებითიაო“ ასეთის აზრისანი არიან არა მარტო სულთან ჰამიდის ყურმოჭრილი ყმები, არამედ თვით მისი მოწინააღმდეგენიც-კი.

ოსმალეთის დღევანდელი ყურადღება მთლად სამხედრო მზადებისაკენაა მიქცეული; ისინი ყოველ საშუალებასა ხმარობენ, ჯარი ამრავლონ, კარგი იარაღი შეიძინონ. ჯარის გაწვრთვნისა და გაუმჯობესებისათვის დიდძალი ფული იხარჯება. აგერ 25 წელი სრულდება, რაც ოსმალეთის სულთანმა გერმანიიდან ინსტრუქტორები დაიბარა და ჯარს წრთვნიან.

ოსმალეთის განზრახვა ის-კი არ არის, რომ სახელმწიფო წინ წავიდეს, განახლდეს, განვითარდეს, არამედ ის, რომ ქრისტიანებს ჩამოართვან ის უპირატესობა, რაც ევროპის ძალ-დატანებით მიენიჭათ.

იასე რაჭველი.

ამათ ხელში უჭირავთ მთელი ჩვენი კუთხე. ესენი პარკის ყიდვას მანამდის არ შეუდგნენ, სანამ პეპლებმა არ დაიწყეს გამოსვლა. მაშინ კი ფუთ პარკის მაზანდა დააყენეს 6 მანეთად, აქედან ვითომ 10 მანეთამდე ასწიეს, მაგრამ ნამდვილად 7—8 მანეთად ისვამდნენ ფუთ პარკს. წრეულსაც ჯერ-ჯერობით იმდენად ნაკლებია პირნახული, რომ იმედი სულ ერთიან დაიკარგა. **ს. შენგელია**

—

ზუგდიდი. ზუგდიდის მაზრაში მუდმივმა წვიმებმა და ხშირმა მოღრუბლულმა ამინდმა ძლიერ შეუშალა ხელი მოსავალს. მთელს მაზრაში შიმშილობაა, ფუთი სიმინდი ერთ მანეთად ფასობს და ისიც არ იშოვება. ვისაც სიმინდი აქვს, წისქვილში დასაფქვავად ვერ გაუბედნია წაღება, რადგან გზაზე ელის თავდასხმას. ასეთი შემთხვევები ხშირია. პურის ფქვილი მეექვსე ხარისხისა იყიდება ტომარა რვა მანეთად (ხუთი ფუთი). ფასი ადგილობრივმა ჩარჩებმა ასწიეს, თორემ ძვირი არ უნდა იყოს. მუდმივმა წვიმებმა და წყალდიდობამ ერთი უბედურება კიდევ ჩაიდინა ზუგდიდში. ანაკლიის გზაზე მდინარე ჩხოუშიაზე ჩაინგრა ხიდი. ეს ხიდი კი ძალიან საჭირო იყო ყველასთვის. ხიდი შეაკეთეს, მაგრამ ადიდებულმა მდინარემ ძველი და ახალი ხიდი 2 აგვისტოს ერთიანად წაიღო. **ა. ზუგდიდელი**

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო

ჩიფუ. 7 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). აქ მიღებულია დეპეშა ადმირალის უხტომსკისა, რომელიც პორტ-არტურის ესკადრას უფროსობდა ადმირალის ვიტგეფტის მოკვლის შემდეგ; უხტომსკი იტყობინება, რომ 28 ივლისის ბრძოლაში იაპონელებმა 60 ნაღმი გაისროლეს, მაგრამ ვნება არაფერი მოუტანიათ. დაჭრილ იქმნა 50 აფიცერი და 280 ჯარის კაცი; მძიმედ არავინ დაუჭრიათ.

იაპონელებს არ უცდიათ ლიაოტეშანზე იერიშის მიტანა, იმათი მარჯვენა ფრთე გალუბინაია ბუხტაში რჩება. რუსეთის მეციხოვნე ჯარი პორტ-არტურში 23 ათასი კაცისაგან შესდგება და დგას 12 მილის მანძილზე.

კუნძულ მიაოდან ტენშანში მოსულები ამბობენ, რომ 7 ივლისს იაპონელთა 5 სამხედრო გემი მისდევდა რუსეთის 2 გემს, რომელნიც აღმოსავლეთისაკენ მიეჩქარებოდნენ.

8 აგვისტოს პორტ-არტურიდან შემდეგი ცნობა მოვიდა: პორტ-არტურთან დღე და ღამე ბრძოლაა; ორსავე მებრძოლ მხარეს დიდი ზარალი აქვს.—9 აგვისტოს იაპონელებმა უკან დააწევიეს რუსებს გოლუბინაია ბუხტიდან და დაიჭირეს დასავლეთ სიმაგრეების ჩრდილოეთით მდებარე ციხე; შიდა სიმაგრეები იაპონელებმა ჯერ ვერ დაიპყრეს, აგრეთვე ნავთსადგურის სიმაგრეებიც, რადგანაც რუსეთის არტილერია ხელს უშლის.

შანხაი. (რეიტ. სააგენტო). შანხაიში მიმავალმა იაპონიის ნაღმიანმა გემმა შეიარა ვუზუნში; მას მისდევდა ამერიკის კონტრნაღმიანი გემი. როცა იაპონიის გემი გაჩერდა კოსმოპოლიტენის დოკის პირდაპირ, სადაც ასკოლდია, ამერიკის გემმა „ჩინსეიმ“ ზარი დაჰკრა და დოკსა და იაპონიის გემს შუა დადგა. ტაოტაიმ დეპეშით ითხოვა ჩინეთის კრეისერის გამოგზავნა. ამერიკის ორ კონტრ-ნაღმიან გემს ბრძანება მოუვიდა მზად იყოს ჩინეთის ნეიტრალიტეტის დასაცველად. შანხაიდან 60 მილის მანძილზე მოსჩანს იაპონიის ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერი. მოსულ გემმა „გაიპინგ“-მა განაცხადა, რომ შვიდ აგვისტოს ნახა გუცლავის კუნძულებთან იაპონიის ესკადრა დაქრობილ ფარნებით. რუსის კონსული კატეგორიულ უარს ამბობს „ასკოლდის“ და „გროზოვოი“-ს იარაღის აყრაზე თუ ნავთსადგურიდან გასვლაზე. ტაოტაი ამბობს, რომ რუსეთი ყურადღებას არ აქცევს მის მოთხოვნას და ჩინეთს კი საშუალება არა აქვს აიძულოს იგი ყური ათხოვოს მის სიტყვას. ამერიკის კონსული იწვევს 9 აგვისტოსათვის ყველა კონსულებს ტაოტაისათვის დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა გამორკვევისათვის და უცხოელთა ინტერესების დაცვისათვის. დოკი, სადაც ასკოლდი იმყოფება, ინგლისელებისაა. „სტანდარდ ოილ“-ის საწყობები იქვეა. ეს კამპანია ამერიკის კონსულს სთხოვს მფარველობას. აქვეა გერმანელებისა და ჰოლანდიელების შენობები. აქვე დგას ინგლისის ორი სამხედრო გემი, საფრანგეთის ოთხი, ამერიკის 8 გერმანიის ერთი; ჩინეთის გემი სრულიად არ არის.

ცინდაო. (რეიტ. სააგენტო) გემ „იაღიამა“-ს კაპიტანმა განაცხადა, რომ იაპონელებს იმედი აქვთ ხელში იგდონ რამდენიმე დღის შემდეგ პორტ-არტურის ესკადრა.

8 აგვისტო.

სიღნაღი. სახელმწიფო ცხენების საშენებლის მთავარ-გამგებელი დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე დღეს მოვიდა სადგურ სიღნაღში. დაათვალიერა ქალაქი, დრაგუნთა ყაზარმები და ნაშუადღევის 4 საათზე წავიდა მანკენს.

ტვერი. დღეს, მრავალის ხალხისა და გუბერნატორის ხიტროვოს თანდასწრებით, გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო. ქალაქის საბჭომ დაადგინა: გამოუცხადოს მის უდიდებულესობას ტვერის მცხოვრებთა უქვეშევრდომილესი გრძნობანი, იშუამდგომლოს, რათა ნება დართონ, ტვერის ქალთა საკომერციო გიმნაზიას უწოდონ „გიმნაზია ცესარევიჩის ალექსისა“, გადასდოს 3 ათასი მან. შორეულ-აღმოსავლეთში მებრძოლთათვის თბილ ტანთ და ფეხთსაცმელის საყიდლად და აპატიოს ღარიბესს მცხოვრებთ გადაუხდელი ფული—2 ათასი მანეთი.

პეტროზავოდსკი. 7 აგვისტოს მოვიდა მიწათ-მოქმედების მინისტრი და დაათვალიერა ალექსანდრეს სახელობის სამხედრო მასალის ქარხანა. 4 საათზე მინისტრი წავიდა პეტროზავოდსკიდან.

არიოლი კარაჩევის ქალაქის საბჭომ დაადგინა: გამოაცხადოს უქვეშევრდომილესი გრძნობანი, აპატიოს ღარიბესს მცხოვრებლებს 5 ათასი მან. და მომავალ გიმნაზიას ალექსის სახელი უწოდოს.

9 აგვისტო

პეტერბურგი. ბიულეტენი: „ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული მშვენივრად გრძნობს თავს; მშობიარობის შემდეგი ხანა ნორმალურია; ძალ-ღონე სასწრაფოთ ემატება და მალე სრულიად განიკურნება. უავგუსტოესი დედა თითონ აწოვებს ძუძუს მემკვიდრე ცესარევიჩს და მალალ ახლად-შობილი ჯანმრთელად არის.“

ვარშავა. 9 აგვისტოს პეტერბურგში წავიდა გენერალ-გუბერნატორი.

სარატოვი. უმაღლესის ბრძანებით გაგზავნილმა ანრეპმა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დათვალიერების დროს ნახა, რომ სარატოვის სანიტარული მდგომარეობა მეტად ცუდია. ანრეპმა რამდენიმე ღონისძიება უჩვენა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დარმშტადტი. პრინცი ლიუდვიგ ბატენბერგი პეტერბურგს წავიდა, როგორც ინგლისის მეფის წარმომადგენელი, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის მონათვლას დაესწროს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიის მიერ მოწვეულ ექიმებისა, რომელთაც უსასყიდლოდ სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ მცხოვრებთ. ავადმყოფთ შეუძლიანთ მიჰმართონ ერთ-ერთ ქვემოდ ჩამოთვლილ ექიმს, მაგრამ სასურველია მახლობელ ექიმებთან მივიდნენ ხოლმე.

ექიმების გვარები და ადრესები:

ალადაშვილი, ალ. სტ. მიიღებს დილით 7—9 ს., საღამოთი 8—9 ს. ეგზარხოსის მოედანი, სასინოდო კანტორა.

გედევანიშვილი, ალ. გრ. დილ. 10—11½ ს. (ცენტრ. სამკ.), საღ. 5—7 ს. ბარონის ქ., თამამშევის სახლი, № 16.

გირტცელი, ოტ. გიორ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. მიხეილის ქ. მიხეილის საავადმყოფო.

ჯანიბეგოვი, ევ. ნიკ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. სოლოლაკი, ამაღლების ქ., № 17.

ელჩიევი, მნაც. რომ. დილ. 7—9 ს., საღ. 5—7 ს. მიხეილის ქ., № 111.

ზაბლუდოვსკი, ი. მ. დილ. 10—12 ს. (ცენტრ. საავად.), საღ. 5—8 ს. სახლში, გრიბოედოვის ქ., № 40.

კასუმოვი, ნ. გ. დილ. 10—11½ ს., (კუკ. საავად.), საღამოთი 5—7 ს. სახლში, ალექსანდრეს ქ., № 36.

მირზაევი, მიხ. ივ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. კრასნოგორსკის ვიწრო-ქუჩა, № 8.

საათსაზოვი, ივ. თ. დილ. 8—9 ს., საღ. 4—5 ს. ალექსეევის ქ., № 6.

თათევოსიანი, ტ. მ. დილ. 9—1 ს. (ხარფ. საავ.), საღ. 6—8 ს. სახლში. კრწანისის ქ., თაიროვის სახლი, № 11.

ხატისოვი, ნ. დ. დილის 7—8 ს., საღ. 4—6 ს. სახლში და 10—12 ს. დილით ავლაბრ. საავადმყოფოში, ბებუთოვის ქ., № 27.

შახ-აზიზოვი, არ. ივ. საღ. 10—12 ს., საღ. 7½—8½ ს. ჩუღურეთი. გონჩარნი ქ., № 30.

შჩერბინინა, ა. ი. დილ. 10—1 ს. (დიდუბ. საავ.), საღამოს 4—6 ს. სახლში. ბაქოს ქუჩ., № 7. (5—2)

იჯარით იძლევა

ბეჟანოვის სახლი სუდებნი ქუჩ. № 9, 4 ოთახი ზემო სართულში და 3 ქვემოთაში, წყლით და სხვა მოწყობილებით. მსურველმა ცნობებისათვის უნდა მიჰმართოს ბროსსეს ქუჩაზე (ყოფილი დიდი ვოდოვოზნის ქ.), № 21, გედევანოვისას. (2—1)

ქ უ თ ა ი ს ი ს

სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ბანკში დაგირავებულ იმ უძრავ მამულთა გასასყიდათ, რომელთ პატრონებს არ შემოუტანიათ 1 იანვრის 1904 წლის გადასახადი ფული.

ქალაქის მამულებზე ვაჭრობა იქნება 14-ს აგვისტოს 1904 წ.

დაბა და სოფლებისაზე 16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორისავე რიგის მამულებზე 31 აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება ვაჭრობის დღემდის **ქუთაისს,** ბანკის კასსაში; **ტფილისს**—კომერციულ ბანკში, აზოვ-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის საბანკო კანტორაში; **ბათუმს**—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო და ტფილისის კომერციულ ბანკების განყოფილებებში და **ფოთში**—სავაჭრო ბანკში. (ნ. 3—3)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უასხ[illegible]ლებოთ და ყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთ[illegible] 25 კ. და ძვი[illegible]ფასიც. თვიურად იაფად და ე[illegible] ევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილი[illegible] და 5—12 ს. საღ. (88—52—43)

დაეკარგა **ალექსანდრე ივანეს ძის დორნიკოვის** მეტრიკა. მნახველთ ვთხოვთ გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: ქუთაისში იაკობ წიგნაძის რესტორანში. (3—3)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავ ტფილისში სკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზ იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—34

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა

პეტერბურგში.

დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ

რეზინის კალოშებისა

ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:



RUSSIAN-AMERICAN INDIA RUBBER
ТОВАРИЩ. РОСС.-АМЕРИК. РЕЗИН. МАНУФ.
1860 Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.
1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—6)